

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება N35010401/186

ქ. თბილისი

25 დეკემბერი 2017 წ.

ერთი მხრივ სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“ (შემდგომში - „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის, თამაზ მოდებაძის სახით და მეორე მხრივ, შპს „მათემატორსი“ (შემდგომში - „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის, ავთანდილ გელავას სახით, (ორივე ერთად წოდებული - „მხარეებად“), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და პრეტენდენტის (შპს „მათემატორსი“) სატენდერო წინადადების საფუძველზე, NAT170013977 ელექტრონული ტენდერის (პრესკურანტი; CPV კოდი 50100000; 50110000; 50112000; 50112100; 50112200) ჩატარების შედეგად, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „შემსყიდველის“ საჭიროებისთვის, სოციალური მომსახურების სააგენტოს ბალანსზე რიცხული 47 (ორმოცდაშვიდი) ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეკეთება და ტექნიკური მომსახურების გაწევის (შემდგომში - „მომსახურება“ ან „შესყიდვის ობიექტი“; შესყიდვა პრესკურანტით) სახელმწიფო შესყიდვა.

1.2. ავტოსატრანსპორტო საშუალების დასახელება, გამოშვების წელი, სახელმწიფო ნომერი, ავტოსატრანსპორტო საშუალების სათადარიგო ნაწილების ჩამონათვალი, გასაწევი მოსახურება, რაოდენობა და ერთეულის ფასი მოცემულია დანართებში (N1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20), რომელიც დაერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 88 000 (ოთხმოცდარვა ათასი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი/მოსაკრებელი/სახდელი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს“.

3. მომსახურების განხორციელების ვადები და პირობები

3.1. მომსახურების გაწევა განხორციელდება 2018 წლის 3 იანვრიდან 2018 წლის 25 დეკემბრამდე, „შემსყიდველის“ მოთხოვნის საფუძველზე, „მიმწოდებლის“ ავტო-ტექნომსახურების სადგურებში შემდეგ მისამართებზე:

3.1.1. ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის მე-13 კმ.

3.1.2. ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N2გ და N2-ს სამხრეთით.

3.1.3. ქ. ბათუმი, დაბა ჩაჭვი, თამარ მეფის გამზ. N43

3.1.4. სამეგრელო, ქ. ზუგდიდი, მოსკოვის 3.

3.1.5. კახეთი, ქ. თელავი, ალაზნის ქ. N91.

3.1.6. სამცხე-ჯავახეთი, ქ. ახალციხე, თამარაშვილის ქ. ბენზინ გასამართი სადგური.

3.1.7. წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული მომსახურების გაწევა შესაძლებელია უშუალოდ როგორც მიმწოდებლის, ასევე ქვეკონტრაქტორ(ებ)ის მიერ. აღნიშნული ქალაქებიდან და რეგიონიდან 30 კმ-ის რადიუსში, საჭიროების შემთხვევაში, მომსახურება უნდა განხორციელდეს ევაკუატორით.

3.1.8. მომსახურება შესაძლებელია განხორციელდეს „შემსყიდველის“ მიერ მიერ მიწოდებული სათადარიგო ნაწილებითაც.

3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება წარმოებს მხარეთა მიერ ყოველ კონკრეტულ შემთხვევისათვის შედგენილი და შეთანხმებული დეფექტური აქტის საფუძველზე, რომელშიც აღინიშნება შესასრულებელი სამუშაოს შემადგენლობა და მოცულობა.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიღება, მომსახურების გაწევისთანავე ფორმდება „მიღება-ჩაბარების“ აქტის სახით, „მიღება-ჩაბარების“ აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლ(ებ)ის ხელის მოწერით, „მიმწოდებლის“ მიერ წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის და სასაქონლო ზედნაღების (საჭიროების შემთხვევაში) საფუძველზე, ხოლო თუ „მიმწოდებელი“ არ არის დღგ-ს გადაამხდელი, წარმოდგენილ უნდა იქნეს კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული ცნობა, რომ „მიმწოდებელი“ არ არის დღგ-ს გადაამხდელი, სასაქონლო ზედნაღები (საჭიროების შემთხვევაში), რის საფუძველზეც წერილობითი ფორმით ფორმდება „მიღება-ჩაბარების“ აქტი, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლ(ებ)ის ხელის მოწერით.

4.2. დეკემბრის თვის საფინანსო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს არა უგვიანეს 2018 წლის 27 დეკემბრისა.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღლო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

5.2. ანგარიშსწორება განხორციელდება წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის, სასაქონლო ზედნაღების (საჭიროების შემთხვევაში) და მხარეთა შორის გაფორმებული „მიღება-ჩაბარების“ აქტის საფუძველზე, ყველა ამ დოკუმენტის წარმოდგენიდან არა უგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, ხოლო დეკემბრის თვის ანგარიშსწორება - არა უგვიანეს 2018 წლის 31 დეკემბრისა, ხოლო თუ „მიმწოდებელი“ არ არის დღგ-ს გადაამხდელი, წარმოდგენილ უნდა იქნეს კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული ცნობა, რომ „მიმწოდებელი“ არ არის დღგ-ს გადაამხდელი, სასაქონლო ზედნაღები (საჭიროების შემთხვევაში) და მხარეთა შორის გაფორმებული „მიღება-ჩაბარების“ აქტი. ამ პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების სრულად (ერთობლივად) წარმოდგენის გარეშე ანგარიშსწორება არ განხორციელდება.

6. მხარეთა ვალდებულებები

6.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

- 6.1.1. ხარისხიანად და დროულად უზრუნველყოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურება.
- 6.1.2. „შემსყიდველის“ მიმართვისთანავე განახორციელოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების დათვალიერება და წარუდგინოს „შემსყიდველს“ დეფექტური აქტი.
- 6.1.3. მომსახურების ჩატარების შემდეგ დაუყოვნებლივ გადასცეს „შემსყიდველს“ უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ავტოსატრანსპორტო საშუალება.
- 6.1.4. დეფექტური აქტის მიღების შემდეგ, „მიმწოდებლის“ მიერ „შემსყიდველის“ შეტყობინების მიღებისთანავე ან ასეთი შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 24 საათის განმავლობაში (შეტყობინება შეიძლება განხორციელდეს წერილობითი სახით, ელექტრონული ან სატელეფონო საშუალებით) დაიწყოს წინამდებარე ხელშეკრულები პირველი მუხლის 1.1. პუნქტით განსაზღვრული მომსახურების გაწევა „შემსყიდველის“ მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე. იმ შემთხვევაში, თუ გამოსაცვლელი ნაწილი საქართველოში არ მოიპოვება და საჭიროა მისი შეკვეთა, „მიმწოდებელი“ მომსახურების გაწევას უზრუნველყოფს „შემსყიდველთან“ შეთანხმებით გონივრულ ვადაში.
- 6.1.5. ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზიანებული ნაწილი შეცვალოს ახალი ან საჭიროების შემთხვევაში მეორადი სათადარიგო ნაწილით, რაც უნდა შესაბამებოდეს დანართში შესაბამისი საქონლის დასახელებას და ფასს.
- 6.1.6. „მიმწოდებელმა“ უნდა გაავრცელოს მის მიერ შეცვლილ და/ან შეკეთებულ სათადარიგო ნაწილზე საგარანტიო ვადა 6 (ექვსი) თვის ვადით გარდა სწრაფ ცვეთადი დეტალებისა (კერძოდ: გაზურების ნათურები, ანთების სანთლები, გაზურების სანთლები, დამცველები, სამუხრუჭე ხუნდები, გადამბულობის ამყოლი და მიმყოლი რგოლები (ფრიქციონები), ზეთის, კონდიციონერის, ჰაერისა და საწვავის ფილტრები, მინის მრეცხავები, ანთების საკონტაქტო ერთეულები და მტვერდამცავები (პილნიკები)) და იმ შემთხვევისა, როდესაც დაზიანება გამოწვეულია არასწორი ექსპლუატაციით გამოწვეულ დაზიანებებზე, კერძოდ: გარეგანი მექანიკური ზემოქმედებით გამოწვეულ დაზიანებებზე. რომლის ათვლა დაიწყება „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმებიდან.
- 6.1.7. „მიმწოდებელმა“ მომსახურება უნდა გაწიოს შემდეგ ვადებში:
 - 6.1.7.1. სავალი ნაწილისა და ელექტრობისათვის 1 (ერთი) კალენდარულ დღეში;
 - 6.1.7.2. რთული ავრგატისათვის 3 (სამი) კალენდარულ დღეში;
 - 6.1.7.3. დეფიციტური ნაწილის შემთხვევაში შესაძლებელია მომსახურების ვადა განისაზღვროს შემსყიდველთან შეთანხმებით არა უმეტეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღისა.
- 6.1.8. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
- 6.1.9. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

6.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

- 6.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის“ თანხის გადახდა ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
- 6.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
- 6.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7. მხარეთა უფლებები

- 7.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
- 7.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
 - 7.2.1. აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.
 - 7.2.2. მოითხოვოს „მიმწოდებლის“ მიერ მიყენებული ზიანის (ზარალის) ანაზღაურება.

8. ფორს-მაჟორი

- 8.1. ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ (ნაწილობრივ) შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობაზე ხელშეკრულების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.
- 8.2. გადაულახავ ძალად ჩაითვლება შემდეგი (და არა მხოლოდ):
 - 8.2.1. სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი და სხვა);
 - 8.2.2. გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა;
 - 8.2.3. ეპიდემიები;
 - 8.2.4. ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო;
 - 8.2.5. ხელისუფლების ნებისმიერი ერთეულის ან ხელისუფლების მიერ საამისოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილება ან ისეთი ნორმატიული აქტის გამოცემა, რომელიც ზემოქმედებს მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და/ან ცვლის, წყვეტს ან აჩერებს ხელშეკრულების დებულებებსა და პირობებს.
- 8.3. ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.
- 8.4. ფორს-მაჟორული მოვლენების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებით (ტელეფონი, ფოსტა, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა).
- 8.5. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა ავტომატურად არ იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას. მხარეები ვალდებული არიან განსაზღვრონ წინამდებარე ხელშეკრულების ფორს-მაჟორულ მოვლენებთან მისადაგების საკითხი.
- 8.6. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

8.7. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულებების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებებმა თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება.

8.8. მხარე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობიდან, თუ კი ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომა გამოწვეულია მისი ბრალით.

9. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

9.1. არაეითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან „შემსყიდველისათვის“ პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, მხარეთა უფლებამოსილ წარმომადგენლებს შორის, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

10.2. „შემსყიდველმა“ და „მიწოდებელმა“ ყველა დონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი, არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

10.3. თუ მხარეები ვერ შეძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვეტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წაწყდებიან რაიმე ხელშეშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნონ ერთმანეთს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

12. მხარეთა მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა

12.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0,02%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე.

12.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3. იმ შემთხვევაში, თუ „მიწოდებელი“ გადააცილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას 10 (ათი) კალენდარული დღით, „შემსყიდველს“ უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს „მიწოდებელს“ ჯარიმის სახით ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის გადახდა.

12.4. ამ მუხლით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს და/ან საჯარიმო სანქციების გარდა, თითოეული მხარე ვალდებულია, აუნაზღაუროს მეორე მხარეს ვალდებულებათა შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანი, ამ ხელშეკრულებით და/ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პირობების შესაბამისად.

13. ხელშეკრულების კონტროლი

13.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს კოორდინატორები სოციალური მომსახურების სააგენტოს ლოჯისტიკის დეპარტამენტის სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტები: რაჟდენ ქლიბაძე და ზაზა შავლიაშვილი.

13.2. კოორდინატორის ფუნქციებია:

13.2.1. მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება.

13.2.2. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიწოდებელთან“ ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება და „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმება.

14. ხელშეკრულების ენა

14.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცემა მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

15.2. ხელშეკრულების 15.1. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აღნიშნულის თაობაზე აცნობოს წერილობით.

15.3. წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

15.4. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

15.4.1. ურთიერთვალდებულებების შესრულებით.

15.4.2. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

17. დასკვნითი დებულებები

17.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

17.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებული არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

17.3. მხარეები ვალდებული არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

17.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის, ხელშეკრულების პირობების დარღვევის შესახებ და ა.შ., თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

17.5. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

17.6. ხელშეკრულების რომელიმე ნორმის (მუხლი, პუნქტი) ბათილად ან გაუქმებულად გამოცხადება არ იწვევს მოლიანად ხელშეკრულების ბათილობას ან გაუქმებას. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების რომელიმე ნორმის (მუხლის, პუნქტის) ბათილობის/გაუქმების საფუძველია საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილება, რაც ამოქმედდა წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, მხარეები ვთანხმდებიან, რომ ამ შემთხვევაში არ არის სავალდებულო ხელშეკრულებაში კორექტირების შეტანა შეთანხმებით, ხოლო ბათილად/გაუქმებულად გამოცხადებული ხელშეკრულების ნორმის (მუხლის, პუნქტის) ნაცვლად მხარეები იხელმძღვანელებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

17.7. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მხარეთა შორის ინფორმაციის გაცვლა, შეტყობინების გაგზავნა და ა. შ. შესაძლებელია განხორციელდეს როგორც წერილის გაგზავნით, ისე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

17.8. ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის უქმე ან დასვენების დღეებზე დამთხვევის შემთხვევაში, შესაბამისი პირობა უნდა შესრულდეს არაუგვიანეს დადგენილი ვადის მომდევნო სამუშაო დღეს.

17.9. წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. წინამდებარე ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

17.10. ხელშეკრულება შედგენილია 109 ფურცლად, 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიწოდებელთან“, ორი ეგზემპლარი „შემსყიდველთან“.

18. მხარეთა იურიდიული მისამართები და რევიზიტები

„შემსყიდველი“
სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“
ქ. თბილისი, ავაკი წერეთლის გამზირი N144
საიდენტიფიკაციო კოდი N202178927



თამაზ მჩედლიშვილი
სააგენტოს დირექტორის მოადგილე

„მიწოდებელი“
შპს „მათემოტორსი“
ქ. თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო 6
ს.ს. „პროკრედიტ ბანკი“ ბანკის კოდი: MIBGGE22
ანგ. GE50PC0443600100006430
ს/კ 204470063


ავთანდილ გვახვაშვილი
დირექტორი

ვიზირებულია: ლ. მამულაშვილი

ზ. ჭანტურია

ზ. დათუკიშვილი

ა. ვასაძე

ზ. შავლიაშვილი




ავტომანქანის მარკა მოდელი		აუდი A6				
სახელმწიფო ნომერი		MOH 008				
გამომგების წელი		2011				
ძრავის მოცულობა		2.8 ჰენზი				
გადამართა კოლოფი		ტიპტრონიკი				
N	ავტონაწილების დასახელება	ზომის ერთეული	არა უმეტეს ქვემოთ მოცემული ნაწილის ერთეულის ფასისა	უმეტეს ქვემოთ მოცემული მომსახურების ერთეულის ფასისა	შემთავაზებული მომსახურების ერთეულის ფასი	
1	ძრავის ზეთი სინთეტიკური	1ლ	25	20.00	0	0.00
2	ძრავის ზეთის ფილტრი	1	30	24.00	0	0.00
3	ჰაერის ფილტრი	1	50	40.00	5	4.00
4	საწვავის ფილტრი (საწვავის ტუმბოსთან ერთად კომპლ)	1	550	440.00	50	40.00
5	სალონის ფილტრი	1	80	64.00	25	20.00
6	წინა სამუხრუჭე ხუნდელები	კომპ.	250	200.00	25	20.00
7	უკანა სამუხრუჭე ხუნდელები	კომპ.	180	144.00	25	20.00
8	ააღობის სანთელი	1	35	28.00	15	12.00
9	ძრავის დამკერი ბალიში	1	250	200.00	80	64.00
10	გენერატორის ღვედი	1	70	56.00	50	40.00
11	გენერატორის ღვედის დამკიმი 1	1	110	88.00	60	48.00
12	გენერატორის ღვედის დამკიმი 2	1	40	32.00	60	48.00
13	ანტიფრიზი	1ლ	15	12.00	5	4.00
14	საქის გამძლიერებელი სითხე	1ლ	20	16.00	10	8.00
15	მუხრუჭის სითხე	1ლ	15	12.00	30	24.00
16	გადამართა კოლოფის ზეთი	1ლ	55	44.00	30	24.00
17	ამორტოზატორი წინა	1	250	200.00	25	20.00
18	ამორტოზატორი უკანა	1	200	160.00	25	20.00
19	სტაბილიზატორის ღინკი (სტრეკინი)	კომპ.	100	80.00	10	8.00
20	სტაბილიზატორის რეზინი	1	20	16.00	30	24.00

21	გაბარიტის ნათურა	1	10	8.00	10	8.00	8.00
22	უკუსელოს ნათურა	1	10	8.00	10	8.00	8.00
23	მუხრუჭის ნათურა	1	10	8.00	10	8.00	8.00
24	პალოგენის ნათურა	1	25	20.00	10	20.00	8.00
25	წინა მოხვევის მაჩვენებელი ნათურა	1	50	40.00	10	40.00	8.00
26	უკანა მოხვევის მაჩვენებელი ნათურა	1	10	8.00	10	8.00	8.00
27	საქარე მიზის საწმენდი ჯაგრისი	კომპ.	80	64.00	5	64.00	4.00
28	ელ. კომპიუტერული დიაგნოსტიკა	1		0.00	35	0.00	28.00
29	გენერატორი	1	2200	1760.00	80	1760.00	64.00
30	გენერატორის ალდეგნა	1		0.00	500	0.00	400.00
31	ამბრაგი	1	1350	1080.00	80	1080.00	64.00
32	ამბრავის ალდეგნა	1		0.00	450	0.00	360.00
33	კარდანი	1	2700	2160.00	150	2160.00	120.00
34	ზამინა	1	100	80.00	10	80.00	8.00
35	საწვევის ტუმბო	1	500	400.00	50	400.00	40.00
36	ვაკუმის ტუმბო	1	400	320.00	80	320.00	64.00
37	ვაკუმის ტუმბოს ალდეგნა			0.00	250	0.00	200.00
38	საწვევის მაღალი წნევის ტუმბო	1	840	672.00	120	672.00	96.00
39	ძრავის საწმენი შუასადებით	1	420	336.00	250	336.00	200.00
40	დროსელი	1	100	80.00	80	80.00	64.00
41	ზედა გიტარა	1	350	280.00	25	280.00	20.00
42	ქვედა წინა გიტარა	1	650	520.00	25	520.00	20.00
43	ქვედა უკანა გიტარა	1	300	240.00	25	240.00	20.00
44	კონდინციონერის კომპრესორი	1	2200	1760.00	80	1760.00	64.00
45	წინა მშრალი ამორტიზაციის შტანგა	1	450	360.00	50	360.00	40.00
46	წინა სტუპიციის საკასარი	1	350	280.00	60	280.00	48.00
47	უკანა სტუპიციის საკასარი	1	350	280.00	60	280.00	48.00
48	შიდა ყუმბარა	1	600	480.00	60	480.00	48.00
49	გარე ყუმბარა	1	900	720.00	40	720.00	32.00
50	გარე ყუმბარის ჩიხოლი	1	60	48.00	40	48.00	32.00
51	შიდა ყუმბარის ჩიხოლი	1	40	32.00	40	32.00	32.00
52	ძრავის წინა სალნიკი ხუფით	1	250	200.00	150	200.00	120.00
53	ძრავის უკანა სალნიკი	1	50	40.00	350	40.00	280.00
54	წყლის ნასოსი	1	450	360.00	100	360.00	80.00
55	თერმოსტატი	1	100	80.00	70	80.00	56.00
56	წყლის გამაგრობებელი ავზი	1	500	400.00	80	400.00	64.00
57	კონდანიონერის გამაგრობებელი ავზი	1	650	520.00	100	520.00	80.00

58	გამფართოვებელი ავზი	1	70	56.00	30	24.00
59	ფენის ვენტელატორი	1	700	560.00	80	64.00
60	წყლის დიდი ვენტელატორი	1	500	400.00	80	64.00
61	წყლის პატარა ვენტელატორი	1	350	280.00	120	96.00
62	საბურავის მ/დ ბალანსირება	1	0	0.00	15	12.00
63	თვლებს ნახარის გასწორება	1	0	0.00	45	36.00
64	საჭის მექანიზმის პროგრამირება	1	0	0.00	100	80.00
65	საჭის მექანიზმი	1	6000	4800.00	200	160.00
66	საჭის მექანიზმის აღდგენა	1	0	0.00	3000	2400.00
67	გიტარის ტულაჟი	1	100	80.00	20	16.00
68	კლაპანი (ჰაერის)	1	55	44.00	40	32.00
69	ვანუსის კლაპანი	1	200	160.00	25	20.00
70	გადაცმბათა კოლოფის კომპიუტერი (მეხატრონიკი)	1	7500	6000.00	400	320.00
71	გადაცმბათა კოლოფის აღდგენა	1	0	0.00	3000	2400.00
72	აბეჭდის ბლოკი	1	4000	3200.00	250	200.00
73	წინა სამუხრუჭე ხუნდების საყრდენი დისკო	1	250	200.00	30	24.00
74	უკანა სამუხრუჭე ხუნდების საყრდენი დისკო	1	180	144.00	30	24.00
75	ამორტიზატორის ბუბლიკი	1	35	28.00	25	20.00
	ჯამი		39340	31472.00	11605	9284.00

ავთანდილ გელაგა

(Handwritten signature)
დირექტორი



სააგენტოს დირექტორის მოადგილე

აგტომანქანის მარკა მოდელი		კაი სორენტო			
სახელმწიფო ნომერი		SSA -505			
გამომწვების წელი		2012			
ძრავის მოცულობა		3.5 ჰენზინი			
გადამცემა კოლოფი		ტიპტრონიკი			
N	ნაწილის დასახელება	ზომის ერთეული	არა უმეტეს ქვემოთ მოცემული ნაწილის ერთეულის ფასისა	არა უმეტეს ქვემოთ მოცემული ნაწილის ფასისა	უმოთავაზებული მომსახურების ერთეულის ფასი
1	ძრავის ზეთი სინთეტიკური	ლიტრი	25.00	20.00	
2	ძრავის ზეთი ნახევრადსინთეტიკური	ლიტრი	12.00	9.60	
3	ძრავის ზეთი მინერალური	ლიტრი	7.00	5.60	
4	ძრავის ზეთის ფილტრი	1 ცალი	15.00	12.00	
5	ჰაერის ფილტრი	1 ცალი	25.00	20.00	4.00
6	სალონის ფილტრი	1 ცალი	35.00	28.00	4.00
7	საწვავის ფილტრი	1 ცალი	25.00	20.00	4.00
8	სამუხრუჭი ხუნდი წინა	კომპ.	120.00	96.00	8.00
9	სამუხრუჭი ხუნდი უკანა	კომპ.	100.00	80.00	8.00
10	სამუხრუჭი დისკი წინა	1 ცალი	170.00	136.00	12.00
11	სამუხრუჭი დისკი უკანა ან დოლოურა	1 ცალი	130.00	104.00	12.00
12	სამუხრუჭი დისკის მოხვკა წინა	1 ცალი	0.00	0.00	12.00
13	სამუხრუჭი დისკის მოხვკა უკანა	1 ცალი	0.00	0.00	12.00
14	სამუხრუჭი სითხე	0.5ლტ	7.00	5.60	2.40
15	სამუხრუჭი სისტემის დაპარება	1 ცალი	0.00	0.00	12.00
16	ამორტიზატორი წინა	1 ცალი	200.00	160.00	16.00
17	ამორტიზატორი უკანა	1 ცალი	170.00	136.00	12.00
18	ამორტიზატორის მილისა წინა	1 ცალი	10.00	8.00	8.00
19	ამორტიზატორის მილისა უკანა	1 ცალი	10.00	8.00	8.00
20	ამორტიზატორის მტკვრდამცავი	1 ცალი	20.00	16.00	8.00
21	ამორტიზატორის საკისარი	1 ცალი	55.00	44.00	8.00
22	ამძრავი	1 ცალი	350.00	280.00	28.00
23	ამძრავის დამლაგწვობა/შეკეთება	1 ცალი	0.00	0.00	120.00
24	მინის საწმენდის ძრავი	1 ცალი	90.00	72.00	16.00
25	მინის საწმენდის ძრავის დამლაგწვობა/შეკეთება	1 ცალი	0.00	0.00	56.00
26	მინის საწმენდი ჯაგროსი	კომპ.	20.00	16.00	1.60
27	მინისაწმენდი ყინვამდლე სითხე	1 ლიტრი	10.00	8.00	1.60
28	ბურთოულა სახსარის მტკვრდამცავი	1 ცალი	10.00	8.00	8.00

29	ბურთულა სახსარი	1 ცალი	50.00	40.00	20.00	16.00
30	ბურთულა სახსარის მ/დ აღდგენა	1 ცალი	0.00	0.00	25.00	20.00
31	სტაბილიზატორი ლინკე წინა (სტერეენი)	1 ცალი	45.00	36.00	15.00	12.00
32	სტაბილიზატორი ლინკე უკანა (სტერეენი)	1 ცალი	45.00	36.00	15.00	12.00
33	წინა სტაბილიზატორის მილისა	1 ცალი	15.00	12.00	10.00	8.00
34	გეტარის მილისა (რეზინის ვაჭი)	1 ცალი	50.00	40.00	20.00	16.00
35	საჭის წევა	1 ცალი	50.00	40.00	20.00	16.00
36	ზეთის ტუმბო	1 ცალი	350.00	280.00	35.00	28.00
37	საჭის წევის დაბოლოება მ/დ (ნაკანონიკი)	1 ცალი	35.00	28.00	10.00	8.00
38	საჭის წევის დაბოლოების მტვერდამცავი	1 ცალი	35.00	28.00	15.00	12.00
39	საჭის მექანიზმის (რულავოკალონკის) მ/დ აღდგენა	1 ცალი	0.00	0.00	300.00	240.00
40	საჭის ულეფი	1 ც	250.00	200.00	50.00	40.00
41	ძრავის საყრდენი ბალიში	1 ცალი	160.00	128.00	25.00	20.00
42	გადაცემათა კოლოფის საყრდენი ბალიში	1 ცალი	110.00	88.00	25.00	20.00
43	გენერატორის ღვედი	1 ცალი	45.00	36.00	15.00	12.00
44	გენერატორის ღვედის ამცილი გორგოლაჭი	1 ცალი	50.00	40.00	20.00	16.00
45	გენერატორის ღვედის დამჭიმი გორგოლაჭი	1 ცალი	100.00	80.00	20.00	16.00
46	გენერატორის დამლა აწყობა შეკეთება	1 ცალი	0.00	0.00	150.00	120.00
47	გენერატორი	1 ცალი	350.00	280.00	35.00	28.00
48	გენერატორის შკივი	1 ცალი	50.00	40.00	15.00	12.00
49	გენერატორის კონტაქტები(წოთქები)	1 ცალი	25.00	20.00	15.00	12.00
50	თერმოსტატი	1 ცალი	80.00	64.00	25.00	20.00
51	გენერატორის რელე	1 ცალი	120.00	96.00	15.00	12.00
52	გადაცემათა კოლოფის ზეთი (ავტომობილური)	1 ლიტრი	17.00	13.60	5.00	4.00
53	გადაცემათა კოლოფის ზეთი (ტრაქტორნიკი)	1 ცალი	35.00	28.00	10.00	8.00
54	გადაცემათა კოლოფის ზეთი ფილტრი (ტიპტონიკი)	1 ცალი	40.00	32.00	8.00	6.40
55	ცენტრალური საკეტე	1 ცალი	100.00	80.00	25.00	20.00
56	ცენტრალური საკეტის შეკეთება	1 ცალი	0.00	0.00	80.00	64.00

57	საკვი	კომპ.	45.00	36.00	25.00	20.00
58	ელექტრო სისტემების კომპიუტერული დიაგნოსტიკა	1 ცალი	0.00	0.00	25.00	20.00
59	თვლების განზღობისა და შეყრის კუთხის	1 ცალი	0.00	0.00	25.00	20.00
60	წინა მარჯვენის ნათურა (პალოფენი)	1 ცალი	25.00	20.00	2.00	1.60
61	წინა გაზარიტის ნათურა	1 ცალი	1.00	0.80	2.00	1.60
62	უკანა მარჯვენის ნათურა	1 ცალი	1.00	0.80	2.00	1.60
63	ანტიფორიზი	1ლიტრი	10.00	8.00	1.00	0.80
64	საბურავების დაშლა აწყობა ბალანსირება	1 ცალი	0.00	0.00	5.00	4.00
65	დისკის გაწორება მ/დ აღდგენა (ალუმინის)	1 ცალი	0.00	0.00	30.00	24.00
66	დისკის გაიკა	1 ცალი	4.00	3.20	0.00	0.00
67	ჰიდრაულიკის ზეთი	1ლიტრი	15.00	12.00	2.00	1.60
68	აალების საწითელი	1 ცალი	10.00	8.00	2.00	1.60
69	ყუმბარა გარეთა	კომპ.	250.00	200.00	25.00	20.00
70	ყუმბარა შიგნითა	კომპ.	160.00	128.00	25.00	20.00
71	წინა მორგვის საკისარი	კომპ.	100.00	80.00	20.00	16.00
72	ჰაერბოძის მ/დ გაწმენდა	1 ცალი	0.00	0.00	20.00	16.00
73	შუშების ამწე.მეხან.მეკეთება	1 ცალი	0.00	0.00	50.00	40.00
74	წინა სამუხრუჭი ხუნდის "სუპორტი"	1 ცალი	300.00	240.00	50.00	40.00
75	სუპორტის რემკომპლექტი	1 ცალი	50.00	40.00	25.00	20.00
76	მთავარი სამუხრუჭი ცილინდრი	1 ცალი	250.00	200.00	25.00	20.00
77	წყლის რადიატორი	1 ცალი	450.00	360.00	35.00	28.00
78	წყლის ტუმბო	1 ცალი	250.00	200.00	35.00	28.00
79	კონდიციონერის კომპრესორი	1 ცალი	350.00	280.00	35.00	28.00
80	კონდიციონერის რადიატორი	1 ცალი	250.00	200.00	35.00	28.00
81	ფრენი	100გრ	10.00	8.00	5.00	4.00
82	საწვავის ტუმბო	1ცალი	300.00	240.00	35.00	28.00
83	საწვავის ტუმბოს მ/დ აღდგენა	1 ცალი	0.00	0.00	150.00	120.00
84	საწვავის ავზის მ/დ გამორეცხვა	1ცალი	0.00	0.00	35.00	28.00
85	გერმეტიკი	1ცალი	10.00	8.00	0.00	0.00
86	საწვავის ავზის ხუფი	1 ცალი	20.00	16.00	0.0	0.00
87	გადაცემათა კოლოფის მოხსნა/დაყენება	1 ცალი	0.00	0.00	150.00	120.00
88	გადაცემათა კოლოფის რემონტი	1ცალი	1000.00	800.00	350.00	280.00
89	გადაცემათა კოლოფის ჰიდრ.მუფტა	1ცალი	350.00	280.00	150.00	120.00
90	ძრავის co-შემოწმება	1ცალი	0.00	0.00	15.00	12.00
91	ძრავის ამოღება/ჩადგმა	1ცალი	0.00	0.00	250.00	200.00
92	ძრავის დაშლა/აწყობა	1ცალი	0.00	0.00	450.00	360.00

93	ძრავის გალოვკის შემოწმება	1ცალი	0.00	0.00	0.00	35.00	28.00
94	ძრავის გალოვკის მოხეხვა	1ცალი	0.00	0.00	0.00	50.00	40.00
95	ძრავის გალოვკის საფენი	1ცალი	150.00	120.00	35.00	28.00	
96	ძრავის ხუფის საფენი	1ცალი	50.00	40.00	15.00	12.00	
97	ძრავის ბლოკის შემოწმება	1ცალი	0.00	0.00	35.00	28.00	
98	ძრავის ბლოკის მოხეხვა	1ცალი	0.00	0.00	50.00	40.00	
99	კარტერის მოხსნა/დაყენება/გმორეცხვა	1ცალი	0.00	0.00	50.00	40.00	
100	კარტერის საფენი	1ცალი	80.00	64.00	35.00	28.00	
101	ძრავის სარეჟელი	კომპ.	350.00	280.00	50.00	40.00	
102	ძრავის სარეჟელის ჩოხალი	კომპ.	250.00	200.00	50.00	40.00	
103	ძრავის ჩოხალი წინა	1ცალი	80.00	64.00	35.00	28.00	
104	ძრავის ჩოხალი უკანა	1ცალი	70.00	56.00	35.00	28.00	
105	ძრავის სარგვლ. რეგულირება	კომპ.	0.00	0.00	80.00	64.00	
106	ძრავის ზეთის დაჩიკი	1ცალი	150.00	120.00	35.00	28.00	
107	ზაბინა	1ცალი	130.00	104.00	20.00	16.00	
108	ზაბინის სადენები	კომპ.	50.00	40.00	15.00	12.00	
109	ძრავი(მეორადი,კომპლექტ-გარემ.გოლი)	1ცალი	5000.00	4000.00	100.00	80.00	
110	ძრავის გალოვკა (მეორადი)	1ცალი	2000.00	1600.00	100.00	80.00	
111	ძრავის ბლოკი(მეორადი)	1ცალი	1200.00	960.00	100.00	80.00	
112	კარტერი	1ცალი	250.00	200.00	50.00	40.00	
113	კარტერი(მეორადი)	1ცალი	150.00	120.00	50.00	40.00	
114	ძრავის საწვავის სისტ.გაწმ.	1ცალი	0.00	0.00	30.00	24.00	
115	დეჟერის დაჩიკი	1ცალი	200.00	160.00	35.00	28.00	
116	ძრავის ჰერმეტიკი	1ცალი	150.00	120.00	25.00	20.00	
117	წყლის რადიატორი	100 გრ	10.00	8.00	5.00	4.00	
118	წყლის რადიატორის გაწმენ.შესამწ. სითხე	100 გრ	10.00	8.00	5.00	4.00	
119	წყლის რადიატორის ალდეგნა	1ცალი	0.00	0.00	120.00	96.00	
120	ანტიფრიზ.გაწმენ.შესამსითხე	100 გრ	10.00	8.00	5.00	4.00	
121	უკანა ხიდის ელექტრომუფტა	1ცალი	1500.00	1200.00	100.00	80.00	
122	სავალი ნაწილის გამაგრება	1ცალი	0.00	0.00	20.00	16.00	
123	შეპოხვა	1ცალი	0.00	0.00	20.00	16.00	
124	პლასმასის დაჭერი(ხამბუტი)	1ცალი	1.00	0.80	0.00	0.00	
125	რკინის დამჭერი	1ცალი	1.00	0.80	0.00	0.00	
126	ხმოვანი საყვირი	1ცალი	20.00	16.00	10.00	8.00	
127	შტანგის მილისა	1ცალი	20.00	16.00	15.00	12.00	
128	მაყუჩი	1ცალი	350.00	280.00	35.00	28.00	
129	მაყუჩის ელმუდლეუბა	1ცალი	5.00	4.00	35.00	28.00	

130	მაყუჩის საფენი	1 ცალი	80.00	64.00	35.00	28.00
131	მაყუჩის დამკვიერი	1 ცალი	20.00	16.00	25.00	20.00
132	ხელის მუხრუჭის რეგულირება	1 ცალი	0.00	0.00	15.00	12.00
ჯამი:			20371.00	16296.80	5151.00	4120.80

თამაზ მოდებანი



ავთანდილ გელაგა

დირექტორი



დანართი N3

აგტომანქანის მარკა მოდელი		მიცუბიში L 200				
სახელმწიფო ნომერი		VZV 240, VZV 241, VZV 243, VZV 244, VZV 245, VZV 247, VZV 248, VZV 249, MDM 550, OYO 099				
გამომგების წელი		2010				
ძრავის მოცულობა		2.5 დიზელი				
გადაცმთა კოლოფი		მექანიკური				
N	ნაწილის დასახელება	ზომის ერთეული ცალი/ლ/კომპ.	არა უმეტეს ქვემოთ მოცემული ნაწილის ერთეულის ფასისა	შემოთავაზებული ნაწილის ერთეულის ფასი	არა უმეტეს ქვემოთ მოცემული მომსახურების ერთეულის ფასისა	შემოთავაზებული მომსახურების ერთეულის ფასი
1	ძრავის ზეთი სინთეტიკური	1	14	11.20	0	0.00
2	ძრავის ზეთი ნახევრადსინთეტიკური	1	12	9.60	0	0.00
3	ძრავის ზეთი მინერალური	1	7	5.60	0	0.00
4	ძრავის ზეთის ფილტრი	1	15	12.00	0	0.00
5	ამორტიზატორის მილისა უკანა	1	10	8.00	10	8.00
6	ამორტიზატორის მილისა წინა	1	15	12.00	15	12.00
7	ამორტიზატორის მტკერდამცევი	1	20	16.00	15	12.00
8	ამპრაგი	1	300	240.00	50	40.00
9	ამპრავის მ/დ	1	0	0.00		
10	ამპრავის დ/ა	1	0	0.00		
11	ამპრაგი ჩამრთველი	1	75	60.00	50	40.00
12	ამპრავის ზენდექსი	1	70	56.00		
13	ამპრავის კოჭა	1	90	72.00		
14	ანტიფრიზი (კონცენტრატი)	1ლ	10	8.00	3	2.40
15	ბურთულა სახსარი ზედა	1	50	40.00	20	16.00

16	ბურთულა სახსარის აღდგენა მ/დ	1	0	0.00	50	40.00
17	ბურთულა სახსარი ქვედა	1	60	48.00	20	16.00
18	გადამბეზობის ქერი	1	150	120.00	150	120.00
19	გადამბეზობის დამწოლი საკისარი	1	50	40.00	0	0.00
20	გადამბეზობის დისკი	1	170	136.00	0	0.00
21	გადამბეზობის ზედა აგზი	1	122	97.60	25	20.00
22	გადამბეზობის ქვედა აგზი	1	90	72.00	25	20.00
23	გადამბეზობის ჩანგალი	1	60	48.00	30	24.00
24	გადამბეზობის კოლოფის ზეთი	ლ	11	8.80	7	5.60
25	გადამბეზობის კოლოფის მ/დ	1	0	0.00	130	104.00
26	გადამბეზობის კოლოფის დ/ს	1	0	0.00	150	120.00
27	გადამბეზობის კოლოფის კბილანა 1	1	130	104.00		
28	გადამბეზობის კოლოფის კბილანა 2	1	50	40.00		
29	გადამბეზობის კოლოფის ნუფცა	1	100	80.00		
30	გადამბეზობის კოლოფის საკისარი 1	1	80	64.00		
31	გადამბეზობის კოლოფის საკისარი 2	1	25	20.00	100	80.00
32	გადამბეზობის კოლოფის საკისარი 3	1	55	44.00		
33	გადამბეზობის კოლოფის საკისარი 4	1	55	44.00		
34	გადამბეზობის კოლოფის საკისარი 5	1	260	208.00		
35	გადამბეზობის კოლოფის საყრდენი ბალიში	1	90	72.00	25	20.00
36	გამანაწილებელი კოლოფის უკანა ჩიბბალი	1	35	28.00	40	32.00
37	გამანაწილებელი კოლოფის ზეთი	ლ	14	11.20	7	5.60
38	გამშვები კოლექტორის საფენი	1	33	26.40	15	12.00
39	გენერატორი	1	650	520.00	50	40.00
40	გენერატორი მ/დაყენება დაწყობა	1	0	0.00		
41	გენერატორის რელე	1	95	76.00	55	44.00
42	გენერატორის დიოდების ხიდი	1	95	76.00		

43	გენერატორის დამუშავების რეულ	1	100	80.00		
44	გენერატორის ღვედი	1	75	60.00		
45	გენერატორის ღვედის დამკიმი გორგოლაჭი	1	150	120.00	70	56.00
46	გენერატორის ღვედის ამოღი გორგოლაჭი	1	95	76.00		
47	გენერატორის აღდგენა მ/დ	1	0	0.00	100	80.00
48	გენერატორის შკივი	1	70	56.00	35	28.00
49	გენერატორის ჯაგრისი	1	25	20.00	0	0.00
50	გერმეტიკი	1	10	8.00	0	0.00
51	დაკიდების ბერკეტი წინა ზედა	1	260	208.00	25	20.00
52	დაკიდების ბერკეტი წინა ქვედა	1	150	120.00	25	20.00
53	დაკიდების ბერკეტის (ზედა) მილისა უკანა	1	35	28.00		
54	დაკიდების ბერკეტის (ზედა) მილისა წინა	1	30	24.00	35	28.00
55	დაკიდების ბერკეტის (ქვედა) მილისა უკანა	1	50	40.00		
56	დაკიდების ბერკეტის (ქვედა) მილისა წინა	1	45	36.00	35	28.00
57	დოზელის გამაიზობელი სპირალი	1	50	40.00	20	16.00
